№ 66 მარტი 28, სამშაბათი 1889 მარტი 28, სამშაბათი № 66


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



ამ მოკლე ხანებში გამოვა ახალი რუსული წიგნი, შედგენილი ბ-ნ ჟღენტის მიერ:

„ნიმუშად გაკეთებულნი ამოცანანი მათემატიკისანი“

ალგებრისა, ელემენტარულის და ანალიტიკურის გეომეტრიისა, ტრიგონომეტრიისა და ალგებრის წესით გაკეთებულნი ამოცანანი გეომეტრიისა და არითმეტიკისანი.

ფასი ორი მანეთი.

სათავად-აზნაურო სკოლაში ნასწავლ ყმაწვილებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ ეს წიგნი ავტორისაგან, ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 88, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

წიგნის მაღაზიებში ისყიდება იმავე ავტორის „გვარტომობის ხე რუსეთის მეფეთა და მთავართა“, ფასი 25 კაპ.

აგრეთვე ისყიდება ბ-ნ ჟღენტისავე „კონსპექტი შუა საუკუნეთა ისტორიისა“, ფასი 50 კაპ. (3—1)


ტფილისი, 27 მარტი

რამდენჯერ თქმულა, რომ ძველი ნაშთები ჩვენის წარსულისა უგზო-უკვლოდ იკარგება და იღუპება. ვინ არ იცის, რომ მრავალი ეკკლესია და მონასტერი დაინგრა და მრავალი ძველი წიგნი თუ ნივთი სამუდამოდ დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ მზრუნველი არავინ იყო. ქართულს ჟურნალ-გაზეთებში მრავალჯერ იყო ამაზე ლაპარაკი და ამ ლაპარაკს შედეგი ის მოჰყვა, რომ ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღებაც ათხოვეს და ზოგი ძველი ნივთი თუ წიგნი იპოვეს და ზოგი ძველი ეკკლესია თუ მონასტერი შეაკეთეს და განაახლეს. ჩვენდა სასიამოვნოდ, რაც დღე მიდის, ძველს ნაშთებს ჩვენის წარსულისას მოსარჩლეც ემატება და ყურის-მგდებელიც და ამიტომ სრული იმედია, რომ იმას მაინც გადავარჩენთ დაღუპვას, რაც დღემდე დაცულა. მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად მასმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ გადაარჩინა გაძარცვასა და დაღუპვას ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ქუთაისში. აგრეთვე ჩვენს წარსულს ყურადღება ათხოვა სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებამ.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს კიდევ ერთხელ ვუამბოთ, თუ როგორ იღუპება საისტორიო ნაშთები საქართველოში. ამის შესახებ გაზ. „ახალ მიმოხილვის“ ერთს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია რამდენიმე საინტერესო ცნობა, რომლის განმეორება მკითხველთათვის მეტი არ იქნება. მცხეთის ეკკლესიიდგან დაიკარგა შესანიშნავი ხატი მაცხოვრისა (VI საუკ.). მცხეთის წიგნთ-საცავი, საცა შვიდი ათასი სხვა-და-სხვა წიგნი და ხელთ-ნაწერი იყო, ამ ჟამად არსადა ჩანს. აგრეთვე დაიკარგა და გაიბნა ქვათახევის მონასტრისა და ბოდბის წიგნთ-საცავი. ჯუმათის მონასტრიდგან სულ ერთიანად გაზიდეს წიგნები და ნივთები. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის შეგირდები მეცხრე და მეათე საუკუნის ხელთ-ნაწერებს შოულობდნენ და თავიანთ საჭიროებისათვის ჰხმარობდნენ. ბ-ნმა დ. ზ. ბაქრაძემ შესანიშნავი ქსნის ოთხთავი (სახარება) იპოვა ტაძრის ეზოში. მეორე ხელთ-ნაწერი მეცხრე საუკუნესი ბ-ნმა ბაქრაძემ იპოვა ნიქოზის ტაძრის მახლობლად ნაგავში.

ეს მაგალითები თითქმის ყველამ იცის, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი სხვა ნივთი და წიგნი იკარგება წლიდგან წლამდე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში. ამას წინადაც გვწერდნენ გურიიდგან, რომ ერთის იქაურის ძველის ტაძრიდგან ვიღაცეებმა სულ ერთიანად გაზიდეს წიგნები და საეკკლესიო ნივთები.

უკეთესი დღე არც მონასტრებსა და ეკკლესიებს ადგია. მცხეთის მთავარ-ანგელოზის ტაძარი (VIII საუკ.) და ურბნისისა და ნიქოზის ტაძრები უყურადღებობის გამო თანდათან ინგრევა. ეკკლესიების მხატვრობა იშლება, იღუპება და სხვანი. ვარძიის გამოჩენილი მონასტერი მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში აღადგინეს.

როგორც ვთქვით, იმედია, რომ დღეის იქით ჩვენს ეკკლესიებსა და მონასტრებს ყურის-მგდებელი ეყოლება, მაგრამ თვით ქართველებმაც უნდა ჩაიჭდიონ გულში, რომ წარსულის ნაშთების გაძარცვა და ავაზაკურად ხელის შეხება მომაკვდინებელი ცოდვაა. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ წარსულის ნაშთების დაცვა და პატივისცემა საზოგადო მოვალეობაა. ამიტომ თუ სადმე რაიმე ძველი ნივთი თუ წიგნი ეგულებათ, უსათუოდ უნდა გადაარჩინონ დაღუპვას და ან უნდა აცნობონ ახალს საეკკლესიო მუზეუმსა და „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** † 27-ს მარტის ღამეს, „Россія“-ს სასტუმროში, თავი მოუკლავს პოდპოლკოვნიკს 21 არტილერიის ბრიგადის მეორე ბატარეისას, თეოდორ თეოდორის ძეს ლიპინსკის, 50 წლისას. განსვენებული ავის სენით ყოფილა ავადმყოფი. ექვს კვირამდე წოლილა ნავთლუხის სამკურნალოში, 18 მარტს იქიდამ გამოსულა და ოთახი დაუჭერია ხსენებულს სასტუმროში. თავის მოკვლის ღამეს მისულა სასტუმროში, ხმა არავისთვის გაუცია, შესულა თავის ოთახში და კარი ჩაუკეტნია. რა თქმა უნდა, არავის არაფრის აზრი არ აუღია. დილით, რაკი ჰნახეს, რომ დრო გადავიდა და ლიპინსკი არ გამოდის, ეჭვი აართვეს, ხომ არა დაემართა-რაო. ერთი მოსამსახურე მისულა, ფანჯრიდამ შეუხედნია ოთახში და დაუნახავს ლიპინსკი ქვეშაგებში მწოლარე გასისხლიანებული. მაშინვე აუწყეს პოლიციას, რომელმაც მოსვლის უმალვე მოიწვია მჭედელი და გააღებინა ოთახის კარი. საშინელი სურათი დახვდათ ოთახში: ლიპინსკი პერანგა იწვა ქვეშაგებში, წაღებ და შარვალ გაუხდელი, და გარს სისხლის გუბე ედგა. პირიდამ სისხლი სდიოდა კიდევ. იქავ ეგდო სისხლიანი რევოლვერი ხუთის ტყვიით გატენილი. არავითარი ბარათი მიცვალებულისა არ აღმოჩნდა. მეხუთე ნომრის მდგმურმა სთქვა, რომ იმ ღამეს რევოლვერის ხმა არ გამიგონია, ხოლო რაღაც რახუნი-კი შევიტყე, თითქო მაგარი რამ დაეცა იატაკზედა, და ყური არ ვათხოვეო. გვამი მიცვალებულისა საანატომიო თეატრში წაასვენეს. ნივთები რაც დარჩენია მიცვალებულს, სულ მთლად ასწერეს და დაჰბეჭდეს. გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

*** ამ თვის 25-ს, შაბათს საღამოს, ქართულს თეატრში გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო საღამო «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ. საღამოზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. კონცერტმა რიგიანად და მხიარულად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებამ საკმაოდ ისიამოვნა. განსაკუთრებით საუცხოვოდ წაიკითხეს ბ-ნმა კ. მესხმა იმერული სცენები და თავ. ნ. ერისთავმა ქართული ლექსები. ყველა მონაწილემ კონცერტისამ, რამდენსამე გარდა, თავ თავიანთი ნომერი

## ფელეტონი

### მეფე საქართველოსა გიორგი ბრწყინვალე

IX*)

თუმცა გიორგის „მისცეს ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“, მაგრამ მიცემა და ხელთ დაპყრობა ერთსა და იმავეს არა ჰნიშნავდა. ჯერ საჭირო იყო სამეფოს შეკრება, მისი ნაწილების შეერთება და მერე კიდევ „ყოველის საქართველოს“ დამორჩილება. ყველაფერი ეს ხომ დიდს შრომასა და ძალას თხოულობდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს თითოეული თემი და სამთავრო საკუთარს პაწია სახელმწიფოს წარმოადგენდა (status in statu). ქართლი, კახეთი, ჰერეთი, მესხეთი და სხ. განცალკევებულნი იყვნენ, მათ საზოგადო ძალა არ აერთებდა, არ აკავშირებდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთელი საქართველო ორ დიდ ნაწილად, ორ სამეფოდ იყო გაყოფილი და ხშირად ტფილისი და ქუთაისი ქიშპობდნენ, კამათობდნენ. მხოლოდ ძლიერსა და ღონიერს მარჯვენას შეეძლო ამიერთა და იმიერთ შეერთება და სხვა-და-სხვა თემის თავის მოყრა ერთს სკიპტრას ქვეშ. უწინდებურის სამეფოს აღდგენა მთელის მისის სიგრძე-სიგანით უფრო იმითი იყო კიდევ საძნელო, რომ ზოგიერთნი თემნი სრულიად მოსწყდნენ საქართველოს და გარდა ამისა უცხოელნი მტერნი შიგ შუა საქართველოში ჩამოეთესლნენ. მთიულნი, მაგ., და კერძოდ ფშაველნი, „ფხოელნი... კაცნი იგი მხეცის ბუნებიანი“ ჯერ ისევ თამარ მეფის დროს არ ემორჩილებოდნენ ტახტსა და ეხლა უფრო გალაღდნენ, თავს გავიდნენ. გარდა ამისა, რა-კი საქართველო დაბალი ლობე შეიქნა, ისეთი მტერ-მოყვარეც-კი, როგორიც ოსეთი იყო, ამ ლობეზედ გადადიოდა. ჩვენმა დაუძლურებამ და ერთობის დამხობამ ფრთები შეასხა პაწია ოსეთის სამთავროსაც, გაათამამა. ოსნი იქამდე გაკადნიერდნენ და ისე წავიდნენ თავს, რომ შუაგულ ქართლში ფეხი გაიდგეს და ქ. გორი დაიპყრეს. მეტადრე დაუცხრომლად მძვინვარებდა მათი მთავარი ბაყათარ. ამ მოუსვენარმა კაცმა მთლად დაარბია ქართლ-თრიალეთი, მრავალი ციხე და დაბა-სოფელი დაიპყრა, დიდძალი აზნაური დააწიოკა და მამა-პაპეულ ადგილიდამ სხვაგან გადაასახლა. საქართველოს და კერძოდ ქართლის თავმოყვარეობა ისე ღრმად შეილახა, რომ ოსეთის მთავარნი ხანდახან თათბირობდნენ და ჰკობდნენ კიდეც: ეს უნდა იყოს ქართლის მეფე და არა სხვა ვინმეო[42]. აი სწორედ ასეთი გარეგანი სახე და ფერი ედო საქართველოს, როცა ბრწყინვალე გიორგი ტახტზედ აბძანდა. და რას წარმოადგენდა თვით შინაურობა?

არც აქ ვპოვებთ რასმე სანუგეშოს. დავით VI მოქმედებამ სრულიად სახე და ფერი შეუცვალა შინაურს ცხოვრებას, მთლად დაასუსტა. ხუთს წელიწადს განუწყვეტლივ სისხლი სდიოდა ერს,—„სავსე იყვნენ უბანნი და ფოლორცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა“... ხვნა-თესვა და მეურნეობა შეჩერდა, ალარსად იყო, დიდი სიმშილობა გაჩნდა, პური და ხორაგი რომ არ იშოვებოდა, გაჭირებული ხალხი უწმინდურს მძორსა სჭამდა, ნადირის დამპალ ლეშით იკვებებოდა[43]) და... მაგრამ კმარა,—უნებლიედ თვალს არიდებ ამ ჯოჯოხეთურს სურათს და მხოლოდ წყევითა და კრულვით იხსენიებ დავით VI და ხუტლუშას! ნივთიერადაც ხალხი ღონე მიხდილი იყო, პოლიტიკური უძლურება ზედ დართოდა ეკონომიურსა, ერთსა და მეორეს თითქო ხელი გადაეხვიათ და შეუბრალებლად ჰლამიდნენ მოესპოთ ოდნავ მოძრავი მაჯა ცხოვრებისა...

ყოველს საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც-კი თავისის სიცოცხლის კვალი აღუბეჭდია, საკუთარი მოსაზრება და დედა-აზრი აქვს, თავისს პოლიტიკურს სიმბოლოს სარწმუნოებისას აღიარებს. გიორგი ბრწყინვალე უხვად იყო ცხებული სახელმწიფოებრივის ნიჭი, სახელმწიფო ასპარეზზედ მან შემომქმედებითი ძალა გამოიჩინა და, რასაკვირველია, საკუთარი მიმართულებაც ჰქონდა, საკუთარს სისტემას მისდევდა. ეს მიმართულება და სისტემა ორის სიტყვით გამოითქმის: ჯერ სიბრძნე-გონიერება და მერე მოქმედება. მეფე გარემოებას აკვირდებოდა, დროების შესაფერად იქცეოდა. იმისი გამჭრიახე და „ფრთხილი“ გონება მეტად მსწრაფლივ და მკვირცხლ სწვდებოდა დროსა და ჟამის ვითარებას და მეფე მკლავს მაშინ ამუშავებდა, როცა სამჯობინო იყო, როცა საქმის ხელიდამ გაშვება არ შეიძლებოდა. ამ გამჭრიახობასა და სიფრთხილეზედ არის აშენებული და დამყარებული მთელი მოღვაწეობა გიორგი ბრწყინვალისა და, რასაკვირველია, სწორედ ასეთი გზაკვალი იყო დროების შესაფერი. თავხედს პოლიტიკოსს, რომელიც სწორე ლარსა და ხაზს მისდევს და ყურადღებას არ აქცევს გარემოებასა და ჟამთა ვითარებას, არ მოეწონება ეს გზა-კვალი, მაგრამ მეფის სისტემა რომ შესაფერი და სახეირო იყო, ეს ცხადია: ამას თვით საქმენი ჰლაღადებენ. სიბრძნისა და სიფრთხილის მიმყოლი მეფე ჯერ პატარა საქმეს შეუდგებოდა ხოლმე და მერე მძიმეზედ გადადიოდა, ჯერ ცოტა და მერე ბევრიო,—აი იმისის მოქმედების გეგმა. ამ გეგმაზედ აშენდა ის ტურფა და დიდი დარბაზი, რომელიც გაჭიმული იყო შავ ზღვიდამ კასპიის ზღვამდე და რომელსაც სახელად „ყოველი საქართველო“ ეწოდება. ეს დარბაზი მაგრად იდგა ას ოც-და-ათის წლის განმავლობაში და თუ შემდეგში დაიშალა, ამშენებლის ბრალი არაა.

X

უწინარეს ყოვლისა მეფე სამთავროების შეერთებას შეუდგა, ამით დაიწყო სამეფოს აღშენება. რადგანაც თვით მონგოლებს ენატრებოდათ

*) იხ. „ივერია“ №№ 62, 63 და 64.

[42]) ქ.-ც-ბა, გვ. 427—428, 441—442.

[43]) ibid, გვ. 436—437.

რიგიანად შესრულა. როგორც ამბობენ, ამ სალამოს წმინდა შემოსავალი ოც-და-ათი თუმნამდეა.

*** გუშინ-წინ, 26 მარტს, ქართულმა დრამატიულმა დასის არტისტებმა ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს აკაკის სამმოქმედებიანი კომედია „კინტო“. თეატრში სულ ათი კაცი არ დაესწრო და სწორეთ ქრისტეს ტირილის წარმოდგენა იყო. არტისტებს გვარიანი დეფიციტი დაატყდათ თავზედ. ასეთი უშემოსავლობა იმითი უნდა აიხსნას, ვგონებთ, რომ, ჯერ ერთი, წინა დღეს, შაბათს, „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ სალამო ჰქონდა გამართული და დიდძალი ხალხიც დაესწრო და, მეორე აფიშები ადრევე არ იყო გამოკიდებული და არც გაზეთებში გამოცხადებული, ასე რომ ბევრმა ვერც კი შეიტყო წარმოდგენის ამბავი.

*** სომხებს აქამდე შექსპირის არც ერთი პიესა არა ჰქონდათ დაბეჭდილი, თუმცა-კი ბევრი აქვთ გადმოთარგმნილი და არდგენდნენ კიდეც. ეხლა ვ. ქამალიანცი ჰბეჭდავს შექსპირის საუკეთესო თხზულებას „ჰამლეტს“, რომელიც ბ-ნს სენექერიმ არწრუნის გადმოუთარგმნია ინგლისურიდამ, და ამ დღეებში გამოვა.

*** ვასილიევის ბალმა კვლავ ისახელა თავი. ამ ბალის მოიჯარადრეს, ვილაცა გერმანელს, ეხლა კვლავ, გიტელზონების დასს შემდეგ, ჩამოურეკნია ბაქოდგან ვილაც მარგარიტა მოროს ვენგრიული ხორო და გააქეთ და გამოაქეთ იქაურობა. ამ ხოროში ჩვიდმეტამდე ქალია და მხოლოდ სამი კაცი. ჩვეულებისამებრ, ვასილიევის დარბაზში სტოლებია გამწკრივებული და იქვეა გამართული ბუფეტიც. ქალები ჯერ სცენაზედ გაჰკივიან შესაზარისა და დამაყრუებელის ხმით რაღაც ვენგრიულს სიმღერებს, შემდეგ შემოუსხდებიან შესულ სტუმრებს და არიან ერთს სმა-ლოთობაში. ეს ამბავია ბინდიდგან დაწყებული გათენებამდე და პატრონი-კი არავინ არის, რომ აღკრძალოს და ნება არ მისცეს ამ ზნეობის გამხრწნელ ბუდის გამართვისა. შორს სადმე მივარდნილს ადგილას რომ იყოს, კიდევ ისე არ ეჩოთირებოდა ადამიანის თვალსა და ყურს, მაგრამ ვასილიევის ბაღში, საქალაქო ქხენონს პირდაპირ, სწორე გითხრათ, ვერაფერი ადგილია ამ სავქე ვარხალალოს საბინადროდ. სწორედ სადიდ-მარხვო საჩუქარი თუ გინდათ, ეს არის. ეტყობა, ვასილიევის ბაღის პატრონი არავითარს უკადრისს ხელობას არ აიკრავს ცხვირზე, ოღონდ-კი ხალხის ყვლეფა ძარცვა შეიძლოს.

*** ამ თვის 25 ს, მეშვიდე განყოფილებაში, პოლიციელებმა შეიპყრეს ტფილისის მოქალაქე მიხეილ ათორთსინოვი, რომელსაც უპოვნეს ნაქურდალი ნივთები. ეს ნივთები მიხეილ ათორთსინოვს მოუპარავს ტფილისის მცხოვრებ ელისაბედ ბერიევისათვის.

*** ამავე დღეს, მესამე განყოფილებაში, იარმუკაზე, ქალაქის ექიმმა მაღალოვმა პოლიციელების თანადასწრებით აღმოაჩინა 40 ფუთი უვარგისი თევზი და 5 ფუთიც ვაშლი.

*** 24 ამ თვისას, მეორე განყოფილებაში, დესტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მელიტონ თომას ძეს თუმინ-ცაგარლის სახლიდგან მოუპარავთ ასი მანეთი ფული და სხვა-და-სხვა ნივთი 375 მანეთისა. ამ ქურდობას აბრალებენ ოსს ივანე ბასიევს. ქურდს ფანჯარა გაუტეხია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ნიგოითი (გურია). აქამდე თუ ჩვენივე მატანტალა დედაკაცები მკითხაობდნენ და ატყუებდნენ ამ ჩვენს გაუნათლებელს ხალხს, დღეს თათრები-მამაკაცები ჰყვლეფავენ და, რასაკვირველია, კარგი დახლიცა აქვთ, როგორც შორიდგან მოსულთ. ვისაც მიადგება ეს „ცრუ-პენტელა“ თათარი, ყველა დიდის კმაყოფილებით ღებულობს და თითო-ოროლა აბაზს სიხარულით ‹უვეშქაშებს›, თუ-კი მოიღებს იმდენს მოწყალებას და დასჯერდება, თუ არა-და, ხომ მაინც თიც არა ჰშურთ იმისთვის—იქნება, უფრო კარგად წაგვადგეს იმისი რჩევა და წამალიო. „გენაცვალე, რომ არაფერი იცოდეს და მართალს არ ამბობდეს, განა ტყუილის სათქმელად მოვიდოდა ამ სიშორიდამაო“,—გიპასუხებთ ყბა-მონგრევით სოფლის დედაკაცი. მართალია, ნიგოითლები ამ ჟამად თანდათან შეეჩვივნენ ექიმის მოწვევას ავადმყოფისათვის და ვისაც ცოტაოდე შეძლება აქვს, თავისის უყურადღებობით არ მოჰკლავს ავადმყოფს, რადგან ფერშლებისა და აფთიაქის სიახლოვე ხელს უწყობს (დ. ლანჩხუთში ამ ჟამად სამი ფერშალია და ერთიც აფთიაქი), მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ ამ დროს მკითხავი-კია სადმე მახლობლად, უთუოდ ექიმის მოწვევამდე ის უნდა მოიყვანონ და იმისი რჩევა და წინასწარმეტყველებაც მოისმინონ. აი ამისი მაგალითიც. ნიგოითში ერთის ავადმყოფისათვის, რომელსაც საოცარი ბოდვა ჰქონდა მეტის სიცხისაგან, მკითხავი მოიყვანეს, ვიღაც თათარი, რომელმაც „უქმური“ *) დაარქვა ამ სნეულებას, შემდეგ მოატანინა ‹ნატეხარი› (ქოთნის, ან დოქის ნამტვრევი) ცეცხლით სავსე, დააყარა ზედ საკმეველი და სხვა რაღაცები და უხჩოლა ავადმყოფს სახეში, რის გამოც ავადმყოფს ოფლმა დაასხა სახეზე. შემდეგ ამოიღო თავისი სასწაულთმომქმედი „თილისმის წიგნი“, ამოსწერა იქიდამ რამდენიმე სიტყვა პატარა ქაღალდზე, ვითომ ნუსხააო, და უბრძანა თურმე ავადმყოფის პატრონებს: „ეზ ავადმყოფი ნამოზახლზე ყოფილა, იქ „უქმური“ შეჰყრია, ზაილეთ ეზ ქაღალდი, მიზა ამოთხარეთ იმ ადგილზე, შიგ ჩადევით, ზევით ბუ[illegible]ი დაადევით, პურზე მარილი და ზანთელი დაასხით წაუკიდეთ. ამის შემდგომ თქვი: ცალთვალავ, ცალ-ფეხავ და ცალ-ხელავ, მობრძანდი, ზიგნი ზაიკითხე, ზაჭმელი ჭამე, ზანთელი გაინათე-თქო და მაშინვე გამოიქეცი, რომ უკან არ მოიხედო, თვარა ნუზლა აღარ იმუშავებს›. ესენი, რასაკვირველია, მაშინვე აღასრულეს თურმე. მეორე მკითხავმა დედაკაცმა „ბრალი“ **) დაარქვა თურმე და შემდეგი დარიგება მისცა: ‹სანამ ხარს არ შემოავლებთ თავზე და სამ წელიწადში ერთხელ ხარით არ აწირვინებთ მოძღვარს, იმ „ბრალისაგან“ თავს ვერ იხსნისო›. კიდევ კარგი, რომ ამ დროს ცოტა მცოდნე კაცები დაესწრნენ საბრალო ავადმყოფს და ექიმი მოაყვანინეს, თორემ, შენი მტერია, წვალებით სულს ამოართმევდნენ.

*) „უქმურს“ ჩვენში ეტყვიან იმ ავადმყოფობას, რომელიც ვითომცა ჭაობიანს ადგილზე გავლის, ან საქმობის დროს შეეყრება კაცს.

**) „ბრალით“ არის ავადაო, იტყვიან ხოლმე ჩვენში, როცა ბოდვა ექნება სნეულს, ე. ი. იმისი მამა ვითომ ხატზე გადაცემული ყოფილა ძველად ვილაცასაგან და ეს გადაცემა მის შთამომავლობაზე გადადის, თუ თითონ გადურჩაო.

შარშან გწერდით, რომ ნიგოითლებმა აგერ ორი წელიწადია გალავანი შემოავლეს ეკკლესიას, მაგრამ ვერ დაასრულესო. გალავანს კარები არა აქვს და სოფლის პირუტყვი თავისუფლად შედის შიგ, ფუჩნის ხან ერთისა და ხან მეორის საფლავსაო. მას აქეთ ერთი წელიწადი გადის და ყურადღება კი ამ საგანზე ჯერაც არავის მიუქცევია. მართალია, ამას წინაზე ამ საქმისათვის ამორჩეული ვექილები დასცვალეს და ახლები აირჩიეს, მაგრამ ამით ჯერ არავითარს ანგარიშს არ აბარებენ ძველი ვექილები, არ ვიცი რა მიზეზით, და საქმე ისევ ძველს დონეზე სდგას. საზოგადოების ასეთი უყურადღებობა ეკკლესიისადმი ვერაფრით ამიხსნია. მართალია, ნიგოითლებს ჰყავთ აქა-იქა „მეთაურები“, მაგრამ ესენი მხოლოდ მაშინ იღებენ ხმას, როცა თავისათვის რაიმე „საკბილოს“ გამოელიან, როცა რაიმე სახრავს ჰვდევენ. კეთილს საქმეზე-კი ისე ჩუმად არიან, თითქო სრულიად არ ეკუთვნოდნენ ამ საზოგადოებას და უცხოეთიდგან მოსულიყვნენ. ხოლო თუ ვინმემ გაჰბედა და საზოგადოებას კეთილი რამ ურჩია, ჩააგონა, ისინი მაშინ აიმაღლებენ ხმას და ყოვლისფრით სცდილობენ ეს კეთილის-მრჩეველი მოღალატედ გამოიყვანონ და თითონ-კი დიდების გვირგვინი დაიდგან თავზე. აი ამ კაცების ხელში განა შეგიძლიან კეთილი რამ გააწყო და ჩააგონო ხალხს? ამისათვის არის, რომ ეკკლესიის გუმბათი დღეს თუ არა, ხვალ ჩამოიქცევა და გალავანი-კი ღმერთმა შეინახოს,—სანამ კარებს გაუკეთებდნენ, მანამ, მგონი, ისევ ახლის გალავანის აშენება მოუნდებათ. სამრეკლოს მაგიერობას ხომ ერთი დაბღენძილი თხმელა ასრულებს, რომელსაც როდის ამოჰგლეჯავს ქარი, არავინ იცის.

არც სხვაფრით არის ჩვენი მდგომარეობა სახარბიელო. მოგეხსენებათ, გურულების ერთად-ერთი სარჩო-საბადებელი, მტრისა და მოყვრის გამსტუმრებელი სიმინდია და წელს-კი ამ ჩვენს ერთად-ერთს სიმდიდრეს გასავალი აღარა აქვს, რის გამოც საშინლად გულ-გატეხილები ვართ. ამ ამბავმა ისე დასცა ჩვენი ხალხი, რომ თავის დღეში ვერ ათქმევინებთ, ისევ მოემატება ფასიო. მას უკვე გადაწყვეტილი აქვს იმედი, რომ რადგან წელს ასე გაიაფდა სიმინდი, მომავალს წლებში უარესს უნდა მოველოდნეთო. ამ სამწუხარო ამბავმა უფრო იმოქმედა ჩვენზე, ნიგოითლებზე, და ჩვენ მეზობელს სოფლებზე, რადგან უფრო დაჩვეულები ვიყავით სიმინდის ვაჭრობასა, და წელს-კი, როცა გამდიდრებას მოველოდდით, უეცრივ პირში ჩალა-გამოვლებულები დავრჩით.

არ შემიძლიან აგრეთვე არ აღვნიშნო შემდეგი ამბავი, რომელიც ღირსია გაზეთების ყურადღებისა. სოფელ ნიგოითში საკმაოდ მოიძებნება ისეთი ხალხი, რომელსაც ძლიერ სწყურია გაზეთების დაბარება, და კიდეც დაიბარებდა, ერთი გარემოება ხელს რომ არ უშლიდეს. კიდეც რომ დაიბარონ, მთელის წლის განმაელობაში, რკინის გზის აქაურ მოსამსახუ-

---

საქართველოს დაქსაქსვა და პატარა თემების თვით-მყოფელობაც მათი ხელთქმნილება იყო, ამიტომ მეფეს სიურთხილე ჰმართებდა. თითოეულს მძლავრსა და გავლენიანს მთავარს საკუთარი პირადი დამოკიდებულება ჰქონდა ყაენთან, რომელსამე ნოინთან. მთავრის განრისხება ყაენისა და ნოინის უსიამოვნებას დაჰბადავდა, მეფეს ხელს შეუშლიდა. გიორგიც ამ საქმეში სიბრძნითა და გონიერებით მოიქცა,—უფრო სიტყვითა და მოხერხებით შემოიერთა სამთავრონი და ძალა მხოლოდ მაშინ იხმარა, როცა უიმისოდ არა გაკეთდებოდა-რა. ქართველ მთავართა გარდა, ნოინებიც განაგებდნენ სხვა-და სხვა სათემოს და რადგანაც მძლავრი ჩოფან-ნოინი მეფეს სწყალობდა, რასაკვირველია, იმ ნოინთა დამორჩილებაში თვით ჰშველოდა. ნელ-ნელა შეჰკრიბა გიორგიმ თემნი და სამთავრონი: კახეთი, ჰერეთი, სომხითი და სხ. და დაუმორჩილა სამეფო სკიპტრას. თვით განდიდებული სამცხე-კლარჯეთიც შეუერთდა საქართველოს და ეს მით უფრო, რომ მეფე იქ აღზრდილი იყო და ბექას მემკვიდრენი ბიძის გაძლიერებისა და დიდების წინააღმდეგნი არ შეიქმნენ [44]). მაგრამ ამ გვარ სამეფოს აღდგენა, „დანგრეულის ტაძრის“ განახლება ჯერ-ჯერობით გარეგანს მეხანიკურს დაკოწიწებას უფრო მიაგვანდა, ვიდრე ისეთს შენობას, რომელიც შედუღებულის ქვითკირივით შეურყეველია. და პირველადვე შეუძლებელიც იყო თუ არ მეხანიკური, სხვა შეერთება. ეს იმიტომ, რომ მთავართა და ერისთავთა გამოცვლა არ მოხერხდებოდა, ყაენის საწყენი იქმნებოდა; ძალა-უნებურად მეფეს თავ-თავის ადგილზე უნდა დაეტოვა თითოეული მთავარი, თუმცა ეს უკანასკნელი სასიამოვნო არ ყოფილიყო. ჯერ სულ პირველადვე, როცა მონგოლების ბატონობა დაიწყო, მეფეს ვერა შეეძლო-რა ურჩისა და უკეთურის მთავრის წინააღმდეგ და დავით V, ლაშას შვილმა, „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა“ [45]). ეხლა ხომ მთავრობა უფრო დამოუკიდებელ ძალად გარდაიქცა, ერისთობამ თვითარსებობა მოიპოვა და მხოლოდ ყაენის უფლება სწამდა, სხვა არაფერი. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თვით თამარ-მეფის დროს გაჩნდა და აღორძინდა საქართველოში მთავრობისა და ერისთობის დამოუკიდებლობა, თვითარსებობა. იმ დროიდგან მთავარ-ერისთობა მემკვიდრეობაზედ მიმდინარეობდა, ერთსა და იმავე ოჯახში ტრიალებდა და პირადი საკუთრება შეიქმნა. ბევრს ურჩო და ყოვლად უვარგისს მთავარ-ერისთავს ვპოვებთ და მათი გამოცვლა არ შეიძლებოდა, რადგანაც მემკვიდრეობის წინააღმდეგი იქნებოდა!.. მონგოლებმაც ხელუხლებლად დასტოვეს ეს წესი და რატომაც არა, როცა სახეირო იყო!.. მთავარ-ერისთავნიც განდიდნენ და მათი ძლიერება იქამდე მივიდა, რომ ქართლის ერისთავნი—სურამელი აჰმადა და იმისი შვილი ბეგა მეფის მაგიერობას სჩადიოდნენ დავით VI დროს [46]). ქიშპობა და ერთურთ შორის შუღლი ხომ თითქო მათ ხელობად გარდაიქცაო. მონგოლებსაც ეს მოსწონდათ, რადგანაც საქართველოს ციხე შიგნიდგან ტყდებოდა.

გიორგი ბრწყინვალე კარგად ჰხედავდა ამ უბედურების მიზეზსა და ესმოდა კიდეც, რომ სამთავროების ცალიერი გარეგანი, მეხანიკური შეერთება არა ჰკმაროდა, საჭირო იყო თვით ძირიანად აღმოფხვრა საენებელის წესისა, მაგრამ დროებით ვერ გაჰბედა მთავარ-ერისთავთა „ბურჯის“ შემუსვრა,—„დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდე რიდითა ყეენისათა“.. მართალიც არის,—ფრთხილი მეფე მარჯვე დროს ელოდა და საბედოდ დროც მალე დაუდგა. საქმე ისაა, რომ საყეენოში შფოთი და განხეთქილება ასტყდა. ნოინებმა მოჰკლეს მცირე-წლოვანი მუსაით ყაენი, თვით მძლავრი ჩოფანი ყაენ აბუ-საიდის ბძანებით დაარჩეს 1327 წ. ქ. ჰერათში და მონგოლთა სამფლობელო ექვს ნაწილად განიყო, ყაენის ძალა შემცირდა [47]). ეხლა-კი შიში და რიდი აღარავისი ჰქონდა და მეფეს შეეძლო შეემუსრა მთავარ-ერისთავების ძალა, ამოეწყვიტა და ამოექლიტა ურჩი ფეოდალები, რომელთაც ერთობა და სამეფოს აღორძინება არა ჰსურდათ. საშინელი და შემაძრწუნებელი ღონის-ძიება იხმარა ღვთის მოსავმა მეფემ, მაგრამ რას იზამს კაცი, როცა საჭიროება და სამშობლოს სარგებლობა ბევრჯელ თვით ბოროტებასაც კეთილად ჰქმნის!.. მეფემ „დარბაზობად“ მოიწვია ცივის მთაზედ (ჰერეთი) მთლად მთავარნი და ერისთავნი. ვინ რა იცოდა მის ფარული განზრახვა და როცა დიდებულნი შეიკრიბნენ, „მოსწყვიტნა მუნ ურჩნი თვისნი“... რასაკვირველია, მეფემ მთავრობა და ერისთობა თავისს მორჩილებსა და ერთგულებს უბოძა.

XI

სულ სხვაფრივ მოექცა მეფე გარეშე მტერს—ოსებს. აქ შიშსა და რიდს არ მიჰყვებოდა, მით უფრო, რომ ოსეთი სხვა საყეენოს ეკუთვნოდა, სახელდობრ ჩრდილოეთისას. პირდაპირ ძალითა და მახვილით ოსების გაძევება ქართლის ყაენს აბა რად ეწყინებოდა და მეფეც არავის მოერიდა. რასაკვირველია, ოსების ძალ-მომრეობა მხოლოდ დროებითს უბედურებას შეადგენდა და იმის მოსასპობლად მეფეს დიდი ჯაფა და ღონე არ დასჭირებია. შემოიერთა თუ არა სამთავ-

[44]) ...„გარნა რამეთუ იყვნენ ბიძის ძენიცა მეფისანი და ამისისა გაძლიერებისა მსურველნი“... და სხ. ქ.-ც-ბა, გვ. 448. ბროსე ჰფიქრობს, რომ აქ ვითომ დავით ნარინის მემკვიდრენი და შთამომავლობა იგულისხმება, H. de la G. p. 645. n[1], მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ბექას შვილებზეა ლაპარაკი. სიტყვა „ბიძის ძენიცა“ უბრალო შეცდომაა გადამწერელისა. ამ გვარი შეცდომები არა ერთხელ და ორჯელ შეგხვდებათ „ქ.-ც-ბაში“. გარდა ამისა ლოღიკურის აზრის მიმდინარეობა ამტკიცებს ჩვენს განმარტებას.

[45]) ქ.-ც-ბა, გვ. 402.

[46]) ib., გვ. 427 და სხ.

[47]) Hist. de la Géor. p. 646, n[1]. ჩოფანის მეოთხე შვილი შეიქ-მაჰმუდი საქართველოსი და სომხეთის გამგებელი იყო. ჯერ ისევ 1336 წ. ჩვენს ლაშქარს ბრძოლაში ჰმეთაურობდა მოჰამედი, ულო ყაენის ჩამომავალთაგანი. მაშასადამე, იმ დროსაც საქართველოს ვასალური დამოკიდებულება ჰქონდა მონგოლებთან და მხოლოდ შემდეგში განთავისუფლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთა წყალობით, ნახევარსაც ვერ მიიღებენ. ბევრს ჰქონდა სურვილი გამოეწერა თუ ქართული და თუ რუსული გაზეთი, მაგრამ იცოდნენ, რომ რკინის გზის მოხელეთა უკმაკურის საქციელის გამო გაზეთის წაკითხვას ვერ ეღირსებოდნენ. ამიტომაც არის, რომ მთელს ნიგოითს ძალიან ნაკლებად მოსდის გაზეთი. ამ ჟამად ჩვენ მოგვდის: 4 „ივერია", 1 „Новое Обозрѣніе", 1 „მეურნე", 1 „თეატრი", 1 „მწყემსი", 1 „Церковныя Вѣдомости" და 1 „Лучъ". არც ეს გაზეთები მოგვდის თავის დროზე და ნახევარი სადღაც იკარგება. რამდენჯერ გვითხოვნია რკინის გზის მოხელეთათვის, რომ გაზეთები პატრონებს ჩააბარონ ხოლმე, მაგრამ რა, კედელს რომ ცერცვი შეაყარო, ხომ არ მიეკრობა.

ნიგოითელი

## უცხოეთი

ინგლისი. 16 მარტს ლორდთა პალატაში მთავარ-მინისტრმა ლორდმა სალისბერიმ გამოაცხადა, რომ გარდაიცვალა დეპუტატი ჯონ ბრაიტიო. სალისბერიმ ორიოდე სიტყვა სთქვა მიცვალებულის შესახებ და დიდად შეაქო მისი მოღვაწეობა, აი რა სიტყვებით მოიხსენია სალისბერიმ ბრაიტი: პირველ დღიდგანვე უკანასკნელ საათამდე ჯონ ბრაიტი ხელმძღვანელობდა თავისს მოღვაწეობაში მხოლოდ მამულის-მოყვარეობით და კეთილის განზრახვით. ორატორობით და მჭევრმეტყველობით ხომ შესანიშნავი იყო. მე ვიცნობდი ზოგიერთებს, რომელთაც მოუსმენიათ პიტისა და ფოქსის მჭევრი ლაპარაკი, და იმათ უთქვამთ, რომ ჯონ ბრაიტი ბევრად მაღლა იდგა ამ ორატორებზეო. რამდენიმე სიტყვა სთქვა იმავე დღეს ბრაიტის შესახებ გრანვილმა, გლადსტონის მომხრემ.

— ჯონ ბრაიტი ღრმა მოხუცებაში გარდაიცვალა. წელს შეუსრულდა 78 წელიწადი. პირველად 1843 წელს ამოირჩიეს დეპუტატად. პარლამენტში ბრაიტი ყოველთვის ლიბერალების მომხრე იყო და თავისის მჭევრმეტყველობით ბევრი კარგი და სასარგებლო ცვლილება შემოაღებინა პარლამენტს. მან პირველმა დაიწყო ბრძოლა თავის მეგობარ კობდენთან ერთად პურის თაობაზე შემოღებულის კანონების წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ ვაჭრობა თავისუფალი უნდა იყოს, არაფრით არ შეიზღუდებოდეს, პურზე შემოღებული ბაჟი უთუოდ უნდა გააუქმოთო. აი ამ ბრძოლით გაითქვა დიდი სახელი ბრაიტმა. პირველად კობდენი მივიდა მასთან მაშინ, როცა ბრაიტს ახალგაზდა ცოლი მკვდარი ედო სახლში და ძალიან დაღონებული იყო, თითქმის სასოწარკვეთილი. სამძიმრის შემდეგ სთხოვა, რომ მონაწილეობა მიეღო პურის კანონების საწინააღმდეგო მოქმედებაში. მართალია, მწუხარე ხარ, მაგრამ იფიქრე, რომ იქნება დღეს ათასსა და ათი ათასს ეხოცება სიმშილით ცოლ-შვილი, დედ-მამა და და-ძმანიო. ბრაიტმა გადასწყვიტა მოქმედება და შეუდგნენ ერთად საქმეს. მათი მეგობრობა მას უკან სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. რაც ერთს აკლდა, ის მეორეს უხვად ჰქონდა მიმადლებული. კობდენი ისე ლაპარაკობდა, რომ ადვილად აჯერებდა მსმენელს. საბუთების მოძებნაც ადვილად ეხერხებოდა და სწრაფად იცოდა. ბრაიტი-კი უფრო ორატორი იყო, მჭევრმეტყველი. ამისთანა ორატორი ინგლისში ორი და სამი არ დაბადებულა. ბრაიტი წამოსადეგი კაცი იყო, მართალია, არც ისეთი ახოვანი და უზარმაზარის ტანისა, როგორც ო'კონელია, მაგრამ მაინც ზორბა ტანისა იყო, დიდი თავი ჰქონდა და სახე მოხდენილი და მეტყველი; ხმა ძლიერი, ზარივით წმინდა, ადვილად გასაგონი, ოდნავ უკანკალებდა და ეს კანკალი მეტად ამშვენებდა იმის ლაპარაკს იქ, სადაც გრძნობით, ან ზიზღით იყო სათქმელი რამე. მისი მჭევრმეტყველება მორევივით ღრმა და ძალუმი თავისს დღეში ნაპირებს არ გადავიდოდა და არც ქაფს მოიკიდებდა მღელვარებით. თავის დღეში ბრაიტი ნებას არ მისცემდა თავს, რომ გულის-თქმას დაეძლია. მისი განსაკუთრებული თვისება ის იყო, რომ თავ-დაჭერით იქცეოდა და ეს აოცებდა ყველაზე მეტად მსმენელსა. ძლიერის ლაპარაკის დროს კაცს ეგონებოდა, რომ უფრო იკავებს თავს, ვიდრე თავისუფლებას აძლევსო. უფრო დამშვიდებით ლაპარაკობდა, ზომიერად, და ხელების შლასა და ჟესტიკულიაციას არ მისდევდა. მის მჭევრმეტყველების ცეცხლი საშინლად გაჰღვივდებოდა ხოლმე, მაგრამ ნაპერწკლებად-კი არ გადიქცეოდა და ტკაცა-ტკუცი არ გაჰქონდა. ამასთანავე ბრაიტს დიდი ნიჭი ჰქონდა უწყინარის იუმორისა და დაცინვა-ირონიისა. ნაკითხი ძალიან არ იყო, მაგრამ, რაცკი წაეკითხნა, კარგად იცოდა. ყველა წიგნებში უფრო დაბადება უყვარდა და მილტონის თხზულება: „დაკარგული სამოთხე".

1857 წელს ბრაიტი აღარ აირჩიეს დეპუტატად, მაგრამ რამდენისამე თთვის შემდეგ ამომრჩევლებმა კვლავ ბრაიტს მიჰმართეს. 1860 წლიდამ სულ იმას ეწინააღმდეგებოდა, რომ შეთოფ-იარაღება საჭირო არ არის, ამისთვის ფულის ხარჯვა დიდი ტვირთია ერისათვისაო. ინგლისი მაშინ რიხიან პოლიტიკას მისდევდა და იმიტომ ამ პოლიტიკის მომხრეები ისე გაუწყრნენ ბრაიტს, რომ მისი სურათი საჯაროდ დასწვეს მეიდანზედ. 1868 წ. გლადსტონის კაბინეტში ერია მინისტრად. მხოლოდ უკანასკნელი მისი დღენი იმან დააჩრდილა, რომ გლადსტონს გადუდგა ირლანდიის გამო.

## წვრილი ამბები

ვენის მოსწავლეთა შორის სიმთვრალე ძალიან გავრცელებულა და თურმე ისეთებიც-კი ითვრებიან, რომელნიც სუთისა და ექვსის წლისანი არიან. დარიბნი შვილებს რომ ჰგზავნიან სასწავლებელში, თითო ჭიქა არაყს ატანენ, ვითომც გასათბობად და სიმშილის მოსაკლავად. ამის გამო მთავრობამ აკრძალა, რომ ყმაწვილებს, 15 წლისაზე ნაკლებთ, არაყს ნუ მიჰყიდითო.

— ამერიკულს ჟურნალს „Railoade Nothwestern"-ში სასაცილო აზრის გამოთქმული: წვიმები ამ ბოლოს დროს იმიტომ გახშირდა, რომ რკინის გზები ბევრია და მატარებლები დიდ-ძალს ორთქლს უშვებენო. ამ წერილის ავტორს გამოუანგარიშნია, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში 30,000 მატარებელია და რა საკვირველია, რომ ამათი ორთქლი წვიმას აჩენდესო.

— ვენის უნივერსიტეტში 26 მაისს ასის წლის დღესასწაული უნდა გადაიხადონ სწორედ იმ დღიდგან, როცა პოეტს შილერს ამ უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის კურსის კითხვა დაუწყია.

— ამას წინად ტაგანროგიდგან დაიკარგა ორი მოსწავლე ქალი, ერთი პირველის კლასისა და მეორე—მესამესი. ეს ქალები ხარბად კითხულობდნენ თურმე ჟიულ ვერნისა და მაინ-რიდის რომანებს, რომლებშიაც ათას გვარი ხიფათიანი და ფათერაკიანი მოგზაურობაა აღწერილი, და განიზრახეს მშობელთა გაუგებინებლად გამგზავრება. ამ ორმა მესამე ქალიც მიიწვიეს, მაგრამ სასჯელის შეშინდა იმას და არ გაჰყვა. უშიშარმა და გამბედავმა ყმაწვილმა ქალებმა მოჰპარეს თურმე მშობლებს სამი თუმანი და გადასწყვიტეს, რომ ჯერ ყირიმი მოვიაროთ და შემდეგ კავკასიაო. იყიდეს რკინის გზის ბილეთები როსტოვამდე და გაუდგნენ გზას. აგერ მშობლებმა მოიკითხეს დაკარგულები. იქ დარჩენილმა მესამე ამხანაგმა გაამხილა თურმე დაფარული. გამოუდგნენ მაშინვე გაქცეულ მგზავრებს კაცი და როსტოვში მიასწრეს. რაღა თქმა უნდა, დააბრუნეს სახლში და სასჯელად ის გადახდათ თურმე, რომ გიმნაზიიდგან გამორიცხულ იქმნენ.

— ამას წინად ერთი ინგლისელი ინგლისიდგან ცოტა ხნით ნეაპოლში წავიდა და ცოლი-კი სახლში დასტოვა თურმე. ნეაპოლში მისვლისას საშინლად შეუყვარდა ერთი იტალიელი ტურფა ქალი და გადასწყვიტა: ცოლიანობას დავუფარავ და ამ ქალს-კი შევირთავო. ყოველივე კანონიერი ქაღალდები იშოვნა და ინგლისის გემზე 10 იანვარს დილის 11 საათზედ ქორწილი გადაიხადა. ამასობაში ისე მოსდა როგორდაც, რომ იმავ დღეს, დილის $10\frac{1}{2}$ საათზედ, ინგლისში ამ ინგლისელის კანონიერი ცოლი გარდაიცვალა, ასე რომ ეს ორ-ცოლიანი კაცი მეორე ცოლის შერთვამდე ნახევარ საათით ადრე დაქვრივდა. ხოლო როცა ლონდონში $10\frac{1}{2}$ საათი იყო, ნეაპოლში თერთმეტიდგან უკვე 23 წუთი იყო გადასული. თუ ამ ანგარიშს მივყევით, გამოვა, რომ ინგლისელს მეორე ცოლი შერთული ჰყოლია, 23 წუთი ორ-ცოლიანი ყოფილა და მხოლოდ შემდეგ გარდაცვლია ცოლი და დაქვრივებულა. მოდი და აქ გამოარკვიე, კანონიერად უნდა ჩაითვალოს თუ არა მეორე ქორწინება?

## გასართობი

როგორლაც ისეა ქვეყნად დადგენილი, რომ ქმარი ოჯახში საშუალო ალაგს ვერ დაიჭერს: ან პირველი უნდა იყოს და ან უკანასკნელი.

—

ადამიანი ჰკვდება, ისტორია რჩება. ასევე ითქმის წუმწუმაზედაც: წუმწუმა იწვის, წუმწუთის ყუთი რჩება.

—

არ ვიცით, ღმერთმანი, რატომ შემოსავლის გასამრავლებლად ქალებს 5 კაპ. მარკას არ დააკრავენ ტუჩებზე?

—

ორი რამ არის, რასაც პოეტები არასოდეს არ მოიხსენებენ ხოლმე: თალგამი და კვახი.

—

თუ წრეს-გადასული მარტოობა გინდათ თვალ-წინ დაიყენოთ და იგრძნოთ, წარმოიდგინეთ, რომ რწყილი ილბუზის მწვერვალზეა.

—

ხშირად მხურვალე ხვევნას ყინულსავით ცივი ამბორი მოსდევს.

—

ყდის-შემკვრელები ყველა იმ წიგნს რომ კითხულობდნენ, რასაც ყდას უკეთებენ, იმათ-

---

როები, გიორგი V ხელი მიჰყო ოსებს. დაამარცხა, წაართვა დაჭერილი ციხე-დაბები და თავიანთს ქვეყანაში გარეკა, კავკასიონის მთაში შელალა, საიდგანაც იგინი შემოესეოდნენ ხოლმე ქართლს. მაგრამ მეფე მარტო ამას არ დასჯერდა. საჭიროება თხოულობდა, შემდეგში ოსები არ დასცემოდნენ სამეფოს და ამისათვის კიდევ საჭირო იყო ვიწრო გამოსავალ გზებისა და ხეობების დაჭერა. სწორედ მეფეც ასე მოიქცა,—„გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა". მაგრამ ეს კიდევ არა ჰკმაროდა, მეფეს ჰსურდა თვით მრისხანე კავკასიონს თავი მოეხარა იმის წინაშე, იმას სწადდა შეემუსრა და დაეპყრა ეს ურჩობის ბუდე და ამიტომ გადალახა მთანი და ღრენი... შევიდა „კავკასსა შინა", დაიმორჩილა „ლაღნი არწივნი მთისანი" და ხარჯი დაადო. სჩანს, რომ მთა მაშინაც შეუპოვარი და გულ-გაუტეხავი ყოფილა—მეფეს მეორედ კიდევ დასჭირდა „კავკასსა შინა" შესვლა და ეს ალბად იმიტომ, რომ მთიულნი განდგნენ, ურჩნი შეიქმნენ. მართლაც და, მთიულნი მხოლოდ ცოტა ხნობით თუ მოუხრიდნენ ხოლმე ბატონს კისერსა და ისიც მარტო მძლავრს ბატონს. პირველს შესვლაზედ მეფეს ვერ გაუტეხნია გულ-დიდი მთის ხალხი და მეორედ-კი დაუმორჩილნია „ყოველნი უმეტეს პირველისა". ამ მეორე ხანას ეკუთვნის მთიულთა შინაურის ცხოვრების განწყობა და განკარგება. იმ დროს განუჩინა მეფემ „კავკასიათა შინა მყოფთა" სჯული, ეგრედ წოდებული ძეგლის დება[48]). შესანიშნავი და საყურადღებო ისტორიული საბუთია იგი ძეგლის დება და მეტადრე წინასიტყვაობა. ძეგლი ნათელს ჰფენს მთისა და საქართველოს დამოკიდებულებას, ცხოვლად გვიხატავს მაშინდელს მდგომარეობას, წინადვე მთა სამეფოს განუყოფელი ნაწილი ყოფილა და თუ ხშირად ტახტს არ ემორჩილებოდა, ამის მიზეზად თვით სამეფოს ჟამად-ჟამადი დასუსტება უნდა ჩაითვალოს. მეფე გიორგიც თავისის პირით აღიარებს ისტორიულს უფლებას, — „შევედით მთიულთა შიგან... ყოველგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩვენისასა"... მაგრამ დროთა ვითარების გამო „უცილებელი" უფლება სრულიად შეილახა, თითქმის განჰქრა. მორჩილება განსდევნა „უნებურებამ". ძეგლიდამ სჩანს, რომ „უნებურება", „აღრევით ყოფა" წინადაც, გიორგი ბრწყინვალის ადრე, ხშირი ყოფილა მთაში: დრო ხელს არ უწყობდა და თვით მეფეებსაც „ეპრიანებოდათ" (?) ასეთი მდგომარეობა. ეს «ეპრიანებოდათ», რასაკვირველია, სახელისა და ღირსების დასაცველად არის ჩართული, თორემ ნამდვილი საბაბი მთის „აღრევით ყოფისა" ტახტისა და სკიპტრას ულონობა იყო ხოლმე და სხვა არაფერი. ასე გახლდათ ბრწყინვალე მეფის დროსაც და იგი მეფე მთაში შევიდა, რადგან „უნებურნი" მოიპოვებოდნენო: «მოვედით ხადა ცხოტს და მოვასხენით ყოველნი უნებურნი ხევის ბერნი და ჰაეროვანნი»... და თუ ასე გახლდათ, მაშ რა ჰსურდა მეფეს? —„უცილებლად პყრობა ტახტისა და სკიპტრისა" და მეორედ კიდევ—მოსპობა «აღრევით ყოფისა». ეს „უცილებელი პყრობა" ცხადად ამტკიცებს, რომ მეფემ იმ დროს სრულიად სძლია მტრებს, ვასალობა თავიდამ მოიშორა და თვით-მპყრობელი შეიქმნა. თუმცა ზოგთა მეფის თვით-მპყრობელობა არა სწამთ და ამტკიცებენ, ვითომ გიორგი ბრწყინვალე ბოლომდე მონგოლების ვასალი იყო და არა სხვა ვინმეო, მაგრამ ძეგლის დება სრულიად არღვევს ამ აზრს, მეტადრე ის ხელთ-ნაწერი, რომელიც პარიჟის წიგნთ-საცავში მოიპოვება[49]). ეს უსაფუძვლო აზრი იქიდამ წარმოსდგა, რომ ყურადღება არ მიაქციეს, თუ როგორ იზრდებოდა მეფის ძალა და ძლიერება. პირველად იგი, მართალია, ვასალად ირიცხებოდა, მაგრამ მეფის «სიბრძნე-გონიერებაც» იმაშია, რომ ნელ-ნელა ვასალობა მოიშორა და სრული დამოუკიდებელი შეიქმნა, თუმცა-კი არ ვიცით სახელდობრ რომელს წელს მოიპოვა თვით-მპყრობელობა. სხვათა შორის, მხოლოდ თვით-მპყრობელობის ძალით და მის განსამტკიცებლად შევიდა იგი მეორედ „კავკასსა შინა", თუმცა საბაბად მთიულთა „აღრევით ყოფაც" იყო. ცხოველის სურათით გვიხატავს ძეგლის დება ამ „აღრევით ყოფას"... „დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილი იყო ერთმანეთსა ზედა"... „ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი და ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება... და ყოლ სამართალი აღარ იყო-და"... ძეგლის აზრით, ამ უწესოების მიზეზი ვითომ «სისხლის სიბუქობა» ყოფილა, მცირე სისხლი ანუ სისხლის ფასი, გარდასახადი. იგი ძეგლიც ამ მიზეზს აქცევს ყურადღებას, თუმცა «აღრევით ყოფის» საბაბი სხვაგან უნდა მოიძებნოს და მარტო „სისხლის" რაოდენობა აქ არაფერს შუაშია.

სჯულ-მდებელი მეფე მხოლოდ დარიელამდე მისულა, — „დარიელით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისას მთავარ-მოწამის წინაშე"... აქ შევნიშნავთ აგრეთვე, რომ მეფემ ადგილობრივ მთიულთა შინაური საქმეებიც განიხილა—„ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი (ქსნის ხეობაშია) და მოვიკვლიეთ მუნებური სასაქმონი"... *)

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

48) ეს „ძეგლის დება" ვახტანგის სამართლის წიგნშია ჩართული. ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოების" ხელნაწერი გვაქვს და ამ ხელნაწერის ძეგლი 46 მუხ. შესდგება. ბროსსეს ჰქონია პარიჟის წიგნთსაცავის ხელთნაწერი, სადაც ძეგლის დება უფრო ვრცელია, სამოც-და-ექვს მუხლოვანი. როგორც ეტყობა, იგი სხვა ვარიანტს წარმოადგენს, H. de la G. p. 644, n³.

49) და რომელიც ბროსსეს ჰქონია ხელში. აი თვით ის ადგილიც, რომელიც არც რუსულს თარგმანში და არც „წერა-კითხვის საზოგადოების" ხელთნაწერში არ მოიპოვება: „notre puissance et l'autorité de notre sceptre étant universellement et sans contestation respectés dans notre demaine royal"...

*) ყველა ეს ადგილები ძეგლის დების წინასიტყვაობიდგან მოგვყავს.

ზედ სწავლული და ჭკვიანი ხალხი მთელს საზოგადოებაში არავინ იქნებოდა.

—

ვინ არის აშინოვი?—გეოგრაფი. აშინოვმა გეოგრაფია გაასწორა და მოსკოვი ინდოეთის ოკეანესთან გადაიტანა. აშინოვი რომ საერთაშორისო დევ-გმირი არ იყოს, მშვენიერი ტაკი-მასხარა იქნებოდა.

—

სტყუის, ვინც ამბობს, რომ დედაკაცს გრძელი ენა აქვსო. იმათი ენა კაცისაზედ გრძელი-კი არა, უფრო მოქნილი და გაპარპაშებულია უთავბოლო რახა-რუხში.

—

ქალები ძალიან მადრიელნი არიან, თუ მოკრძალეობით დაბადებისა და სახელ-წოდების დღე მოაგონა, ხოლო დაბადების წლის გახსენება-კი ჭირივითა სძულთ.

—

მეტად გულ-მავიწყი კაცი ის იქნება, რომ თავისი სახლი დაივიწყოს და პოლიციას მიჰმართოს შესატყობლად და ან კიდევ თავისი ცოლი გაათხოვოს, ქალის მაგიერ.

—

გარდამეტებული ზრდილობიანობა იქნება, კაცმა რომ თავისი თავი სარკეში დაინახოს და ქუდი მოიხადოს.

# დეპეშა

24 მარტი

ბელგრადი. ბელგრადსა და პროვინციებში ლიბერალებს ყრილობა ჰქონდათ. ამ ყრილობაზე დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ მიტროპოლიტს მიხეილს დაუბრუნონ მიტროპოლიტობა. აქ იმ აზრისანი არიან, რომ საეკკლესიო საქმეს თავისს სასარგებლოდ გამოიყენებს ოპოზიცია, რომელიც მომავალს არჩევანზე დღევანდელის კაბინეტის წინააღმდეგ იმოქმედებსო.

25 მარტი

რომი. კრისპიმ სთქვა სენატში: აბისინიის დღევანდელი ყოფა ისეთია, რომ იტალიას შეუძლიან ხელზე დაიხვიოს, მაგრამ მართებლობა ჯერ ჯერობით ხმას არ ამოიღებს, ხოლო, როცა საჭიროება მოითხოვს, მაშინ იმოქმედებს თავისის აზრისამებრო.

ბელგრადი. ცანკოვმა გამოუცხადა თავისს ამხანაგებს, რომ ბოლგარიაში სულის-მოფენის დღისათვის ახალი მთავარი და პატრიოტული მართებლობა დამკვიდრდებაო.

პარიჟი. სასამართლომ გაამართლა პატრიოტთა ლიგის წევრნი. არ დამტკიცდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ საიდუმლო საზოგადოებაში. ხოლო თითოს დაუნიშნეს ასი ფრანკი ჯარიმა იმიტომ, რომ იმათი საზოგადოება ნება დართული არ იყო. სასამართლოს განაჩენს ხალხი დიდის ამბით მიეგება. იძახდნენ: გაუმარჯოს ლიგას, გაუმარჯოს ბულანჟესა და დერულედსაო.

ბუხარა. დღეს თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი დაბრუნდა კარკიდგან. ბუხარაში გენერალ-გუბერნატორს მიეგებნენ ბუხარის დიდებულნი, ჯარი და რუსის კოლონია. გუბერნატორმა დაათვალიერა ქარვასლა, ფოსტის კანტორა და სხვანი. შემდეგ გენერალი როზენბახი წავიდა სამარყანდს.

26 მარტი

ყაზანი. აქ მოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე

პარიჟი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა: დეკრეტი იმის შესახებ, რომ სენატი გადაკეთებულ იქმნას უმაღლეს სასამართლოდ, ორშაბათს წარედგინოს თვით სენატს. დეკრეტის ძალით ბულანჟე და ყველანი, ვისაც გამოძიება დამნაშავედ იცნობს, სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი.

რომი. ნამდვილია, რომ იტალიელებმა დაიკავეს ასმარი და კერენი. მასოვის გარნიზონს კიდევ მიუმატებენ რამდენსამე ბატალიონს. მენელიკს უნდა აბისინიის ტახტი დაიმკვიდროს. ამ საქმეში მენელიკს იტალია ძალიან ეხმარება.

ჩარჯუი. გენერალ-ადიუტანტის როზენბახის დაბრუნება კარკიდგან იმისი საბუთია, რომ ავღანის თურქისტანში მშვიდობიანობაა. ემირი აბდურახმანი სადაც არის ქაბულში დაბრუნდება.

27 მარტი

პეტერბურგი. ამ დღეებში ავად გახდა ფილტვების ანთებით გზათა მინისტრი, რომელიც დღეს უკეთ არის: გულის ტკივილი აღარა აქვს; ღამე მოსვენებით გაატარა; ცნობა არ დაჰკარგვია.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ უკვე გადასწყდა სახელმწიფო საბჭოში, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა ხაზინის გამგეობაში გადავიდესო.

ბუქარესტი. სამინისტროს შედგენა მიანდეს ლასკარ-კატარჯის.

პეტერბურგის 24 მარტი ბირჟა,

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლნი. | გაყიდუ-ლნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 269½ |
| —მეორისა . . . . . | 243 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97 „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 83 „ | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადები—6.

მარტი 31 დღით არის.

28 დღე სამშაბათი. ღირსისა მამისა ილარიონ ახლისა და წმ. სტეფანე საკვირველ-მოქმედისა. კათოლ. გელასისა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—35. მთვარე 9 დღისაა.

29 დღე ოთხშაბათი. ღირსისა მამისა მარკოზ, არეთუსელი ეპისკოპოსისა. კათოლ. წმ. დიმიტრისა. მაჰმად. მე-10 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—36. მთვარე 10 დღისაა.

30 დღე ხუთშაბათი. ღირსისა იოანე კლემაქსი აღმწერელისა. კათოლ. წმ. ქვრ. ანგელიკასი. მაჰმად. მე-11 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—უკანასკნელ მეფე გიორგის მეუღლე მარიამი გარდაიცვალა მოსკოვს და გვამი მცხეთის ტაძარში მოასვენეს, 1851 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—37. მთვარე 11 დღისაა.

—

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

—

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მირო-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრე თრუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და სათავბრიკო მარკას.

(26—21)

მარიამ ანანოვის დედათა სასწავლებლის

სამზრუნველო საბჭო

# საჯარო ვაჭრობით

სამის წლის ვადით

იჯარით აძლევს ამ 15 აპრილიდგან ანანოვის ქარვასლას, რომელიც იმყოფება სიონის ქუჩაზედ. ვაჭრობა დანიშნულია ამ აპრილის თვის 30 სთვის, საღამოს 7 საათზედ, სასწავლებლის სამზრუნველოს გამგეობაში (4—3)

## წიგნის მაღაზია

კ. ი. ლოდიასი

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველ ნაირი სამწერლო მასალები და ნივთები. გურია სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავეა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში. (10—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახიშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ლატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |

იაფად გაყიდვა საქონლისა

# მხოლოდ დღესასწაულამდე

ცენტრალურს საგალანტერეო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეო საქონელი და ოჯახსათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქურსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლამპრები, ჭურჭელი, საყმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი. (10—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბანკამოვის სახლში, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 27-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე